



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N2

ქ. მარნეული

25.01.2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, კოტე ბოჭოიძე, ირაკლი ბურნაძე, რამიზ გულმამედოვი, ქამილ ალიევი, ლერი მუმლაძე, ზურაბ ჭონიაშვილი, ჯომგუნ ზეინალოვი, არსენ ახვერდიანი, მაილ მიქიევი, ისმაილ ბაირამოვი, აგილ ფაშაევი, რუსტამ ფაშაევი, ბესიკ გუჯეჯიანი, აბიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, რაგიმ ასკეროვი, მამედ მამედოვი, ნიკოლოზ გოგოჭური, რაფიკ მუსაევი, ლევონ აკოპიანი, რაფიკ ჯაფაროვი.

არ ესწრებოდა:

- რიჩარდ გიგანი, გიორგი შუკაკიძე, გივი ქველაძე, აიდა ხაჩიკიანი, სულეიმან ხალილოვი, ელხან მუფტიევი, მახირ იუსუბოვი, ზურაბ სხირტლაძე.

სხდომას ესწრებოდა:

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ნინო დეკანოიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „მარნეული TV“-ს ტელევიზიის წარმომადგენლები, გაზეთ „ოზანის“ რედაქტორი ქამილ მუსაევი.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
2. ა.ა.ი.პ. „სუფთა მარნეული“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

3. ა.ა.ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ
4. ა.ა.ი.პ. „კულტურის ცენტრი“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ
5. შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ
6. შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბ „ალგეთი“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ
7. ა.ა.ი.პ. „სპორტული სკოლა“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ
8. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ
9. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის N12 დადგენილების გაუქმების შესახებ

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N1. 25.01.2016 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 21 იანვრის N03/283 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგინა ა.ა.ი.პ. „სუფთა მარნეული“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N11. 25.01.2016 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 20 იანვრის N03/249 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით,

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგინა ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2016 წლის ხარჯთაღრიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N12. 25.01.2016 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 21 იანვრის N03/284 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგინა ა.ა.ი.პ. მარნეულის კულტურის, საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება „კულტურის ცენტრი“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N09. 25.01.2016 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 21 იანვრის N03/283 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგინა შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა (თან ერთვის).

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N10. 25.01.2016 წ).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 22 იანვრის N03/322 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგინა

შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „ალგეთი“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და სამტატო განრიგი

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N06. 25.01.2016 წ).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 22 იანვრის N03/321 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგინა

ა.ა.ი.პ. „მარნეულის სპორტული სკოლა“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N07. 25.01.2016 წ).

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 25 იანვრის N03/399 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის და 156-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს კანონი „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 54-ე და 61-ე მუხლების საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N08. 25.01.2016 წ).

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის აპარატის უფროსმა ნინო ბერიძემ საკრებულოს წევრებს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2015 წლის 30 დეკემბრის N76876 წერილით წარმოდგენილი სამართლებრივი დასკვნის გათვალისწინებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 25 იანვრის N03/399 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, საკრებულოს წევრებს, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობის და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის N12 დადგენილების გაუქმების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N02. 25.01.2016 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის მეორე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი